სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/273

ქ. თბილისი 19 11 2019 წ.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების
საფაკულტეტო კომისიების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ასევე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 9 მარტის № 22 ბრძანების თანახმად, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების სრულყოფილად ჩატარების მიზნით,

ვბრძანებ:

1. უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ წარდგენილი და მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის აგრეთვე, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პერიოდული შეფასების მიზნით შეიქმნას საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები (დანართი 1).

2. კომისიების თავმჯდომარეებად დაინიშნონ ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები.

3. დამტკიცდეს კომისიის რეგლამენტი (დანართი 2).

4. კომისიებმა უზრუნველყონ საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათი განხორციელების დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდული შეფასება და სრულყოფის წინადადებების შემუშავება.

5. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელოს კომისიების მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ" საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 28 მარტის № 42 ბრძანება.

7. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

8. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი — ა. ფრანგიშვილი

სტუ-ს რექტორის 2019 წლის
19.11.2019 № 01-09-10/273 ბრძანების
დანართი 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შემადგენლობები

სამშენებლო ფაკულტეტი

1	მარინა ჯავახიშვილი	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარე
2	ნუგზარ მურღულია	-	საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, პროფესორი
3	ალექსანდრე დავითაშვილი	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
4	ნუგზარ რურუა	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
5	ელინა ქრისტესიაშვილი	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
6	თამაზ ხმელიძე	-	პროფესორი
7	როინ იმედაძე	-	პროფესორი
8	რამაზ ჟღენტი	-	პროფესორი
9	ნინო მსხილაძე	-	პროფესორი
10	მურმან ბაქრაძე	-	პროფესორი
11	ლია ბალანჩივაძე	-	პროფესორი
12	ავთანდილ გოგოლაძე	-	პროფესორი
13	გვანცა გუჩაშვილი	-	სტუდენტი

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

1	ქეთევან ქუთათელაძე	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარე
2	თენგიზ ჯიშკარიანი	-	საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, პროფესორი
3	ჯემალ ბერიძე	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
4	ჯანიკო ხუნწარია	-	პროფესორი
5	მანანა მაღრაძე	-	პროფესორი
6	ლენა შატაკიშვილი	-	ასოცირებული პროფესორი
7	გიორგი გიგინეიშვილი	-	ასოცირებული პროფესორი
8	ნატო ძაგანია	-	ასოცირებული პროფესორი
9	ალექსანდრე პეტროსიანი	-	ასოცირებული პროფესორი
10	მაკა გუდიაშვილი	-	ასოცირებული პროფესორი
11	ელვირა ბჟინავა	-	სტუდენტი

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

1	შალვა კელეპტრიშვილი	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარე
2	ნანი ხუნდაძე	-	საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, პროფესორი
3	თეიმურაზ კუნჭულია	-	პროფესორი, დეკანის მოადგილე, დეპარტამენტის უფროსი

4	ნოდარ ფოფორაძე	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
5	გიორგი დურგლიშვილი	-	ასოცირებული პროფესორი
6	თამარ გურული	-	სტუდენტი

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

1	მამუკა მაისურაძე	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარე
2	თამარ ლოლაძე	-	საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, ასოცირებული პროფესორი
3	მაია მშვილდაძე	-	პროფესორი, დეკანის მოადგილე
4	დიმიტრი ერისთავი	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
5	როზა ხუციშვილი	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
6	ზურაბ სიმონგულაშვილი	-	პროფესორი
7	გიული ჯოხაძე	-	ასოცირებული პროფესორი
8	მაია ბალახაშვილი	-	ლაბორანტი
9	თამარ პავლიაშვილი	-	სტუდენტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

1	მანანა მოისწრაფიშვილი	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარე
2	გიორგი ჯაფარიძე	-	საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, პროფესორი
3	ხვიჩა ირემაშვილი	-	საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, ასოცირებული პროფესორი
4	ნუგზარ რურუა	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
5	გოდერძი ტყეშელაშვილი	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
6	ნია ნათბილაძე	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
7	ვარლამ ლეკიაშვილი	-	პროფესორი
8	თამაზ მჭედლიშვილი	-	პროფესორი
9	ავთანდილ შარვაშიძე	-	პროფესორი
10	რევაზ თედორაძე	-	პროფესორი
11	მერაბ შვანგირაძე	-	პროფესორი
12	ნინო თოფურია	-	ასოცირებული პროფესორი
13	ბელა დედანაშვილი	-	სტუდენტი
14	პაატა ჭანია	-	სტუდენტი
15	ლანა ბოხუა	-	სტუდენტი

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

1	ნინო ხაბეიშვილი	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარე
2	გია ნაცვლიშვილი	-	საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, ასოცირებული პროფესორი
3	ვახტანგ ფირცხალავა	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
4	თინათინ ჩიგოგიძე	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
5	მაია სეხნიაშვილი	-	ასოცირებული პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
6	მარიამ გოგოლაშვილი	-	სტუდენტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1	ეკატერინე შაკიაშვილი	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარე
2	ქეთევან კვესელავა	-	საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, ასოცირებული პროფესორი
3	თამარ ხოხობაშვილი	-	ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე
4	თემურ ჯაგოდნიშვილი	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
5	ალექსანდრე სიჭინავა	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
6	ზურაბ გამეზარდაშვილი	-	პროფესორი
7	თეა ცომაია	-	ასოცირებული პროფესორი
8	ანასტასია ჭანტურია	-	სტუდენტი

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

1	ქეთევან კოტეტიშვილი	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარე
2	თინათინ კაიშაური	-	პროფესორი, დეკანის მოადგილე
3	ია ირემაძე	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ასოცირებული პროფესორი
4	ქეთევან კოტრიკაძე	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
5	ია მოსაშვილი	-	პროფესორი
6	შოთა ზაზაშვილი	-	პროფესორი
7	მზია კიკნაძე	-	პროფესორი
8	ეკატერინე როჭიკაშვილი	-	ასოცირებული პროფესორი
9	ოლღა ხუციშვილი	-	ასოცირებული პროფესორი
10	ალექსანდრე მაისურაძე	-	სტუდენტი

დიზაინის საერთაშორისო სკოლა

1	მალხაზ რაზმაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარე
2	გოჩა მიქიაშვილი	-	საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, პროფესორი
3	მაია ნანობაშვილი	-	ასისტენტ-პროფესორი
4	ანი ეძგვერაძე	-	სტუდენტი
5	ნოდარ ხარაბაძე	-	სტუდენტი

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი

1	ნინო ლომიძე	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარე
2	მალხაზ დოლიძე	-	საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
3	მაია კილაძე	-	ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე
4	გურამ ტყემელაძე	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
5	ნინო ჩხარტიშვილი	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსის მ/შ

6	ლია ამირანაშვილი	-	ასოცირებული პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
7	ლელა გურგენიძე	-	სტუდენტი
8	ანა ჭანუყვაძე	-	სტუდენტი

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

1	მარიამ ჯიქია	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარე
2	მაია ყიფიანი	-	საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, პროფესორი
3	ჯემალ გაბელია	-	პროფესორი, დეკანის მოადგილე
4	ციალა გლოველი	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
5	ქეთევან ჯიჯეიშვილი	-	პროფესორი
6	ნანა როსეფაშვილი	-	ასისტენტ-პროფესორი
7	ნიკოლოზ წერეთელი	-	სტუდენტი
8	მაკა აბულაძე	-	სტუდენტი

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

1	ნინო ჩიკვილაძე	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარე
2	გიორგი სულაშვილი	-	საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, ასოცირებული პროფესორი
3	ევგენი ბარათაშვილი	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
4	გენადი იაშვილი	-	პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი
5	რატი ბურდიაშვილი	-	პროფესორი
6	თამარ ღამბაშიძე	-	ასოცირებული პროფესორი
7	ხათუნა ხარხელაური	-	ასოცირებული პროფესორი
8	სალომე ნეფარიძე	-	სტუდენტი

სტუ-ს რექტორის 2019 წლის
19.11.2019 №01-09-10/273 ბრძანების
დანართი 2

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების
საფაკულტეტო კომისიის რეგლამენტი

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია (შემდგომში „კომისია") იქმნება რექტორის მიერ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

2. კომისიის მიზანია ფაკულტეტის მიერ დაგეგმილი და მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის, აგრეთვე, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განხორციელების პერიოდული შეფასება.

3. თითოეული სასწავლო წლის ყოველ სემესტრში კომისიამ უნდა ჩაატაროს არანაკლებ 3 სხდომა, სადაც შეფასდება საგანმანათლებლო პროგრამები და სხვადასხვა პედაგოგების მიერ ჩატარებული მეცადინეობები. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს უფლება აქვს კომისიას მოსთხოვოს კონკრეტული მიზნობრივი შეფასების ჩატარება.

4. კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა იყოს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი და სტუდენტი. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან.

5. კომისიის თავმჯდომარეა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

6. კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს სხდომაზე მოიწვიოს სხვა პირი (მაგალითად, სფეროს ან საგნის სპეციალისტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვ.), რომელიც შესაძლებელია არ იყოს უნივერსიტეტის თანამშრომელი. იგი სხდომაში მონაწილეობს კომისიის წევრის სრული უფლებებითა და ვალდებულებებით.

7. კომისია უფლებამოსილია თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები მოითხოვოს ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი აკადემიური დეპარტამენტების, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისა და პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა პირებისა და სტრუქტურებისგან.

8. საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების ხარისხის პერიოდულ შეფასებას კომისია ახორციელებს მეცადინეობებზე დასწრების, აუდიო-ვიდეო სისტემის ან/და შესაბამისი დოკუმენტების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამები ფასდება დოკუმენტების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე და უშუალო დათვალიერების გზით.

9. კომისიის სხდომაზე თითოეული მეცადინეობა უნდა შეფასდეს ცალ-ცალკე, შესაძლებელია რამდენიმე ერთ სხდომაზე (სასურველია, არაუმეტეს 4-ისა).

10. მეცადინეობის ხარისხის შეფასების დროს კომისიის თითოეული წევრი ავსებს არსებული ფორმის კითხვარს. კითხვარში აღნიშნული უნდა იყოს ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი, პედაგოგის და თუ მას ცვლის სხვა პირი, აგრეთვე, შემცვლელის სახელი და გვარი, საგნის დასახელება, ფაკულტეტის დასახელება, სასურველია, აღინიშნოს სტუდენტთა სრული რაოდენობა ჯგუფში/ჯგუფებში და რამდენი ესწრებოდა მეცადინეობას. კითხვარში მოცემული უნდა იყოს კომისიის წევრის მიერ განსაზღვრული შეფასების შედეგები. აუდიო-

ვიდეო სისტემის საშუალებით მეცადინეობის შეფასების შემთხვევაში კომისიის წევრი აფასებს, ასევე, სისტემის მუშაობის ხარისხს და შესაბამის აღნიშვნას აკეთებს კითხვარში.

11. თითოეული მეცადინეობის შეფასების შესახებ კომისიის სახელით ივსება ერთი შეჯერებული (კომისიის თითოეული წევრის შეფასებების საშუალო მნიშვნელობებით) კითხვარი კომისიის ყველა დამსწრე წევრის ხელმოწერით. აღნიშნული კითხვარი თან ერთვის სხდომის ოქმს.

12. სხდომის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. მეცადინეობებთან დაკავშირებით ოქმში აღნიშნული უნდა იყოს სხდომის ჩატარების თარიღი, დასკვნა თითოეულ მეცადინეობაზე როგორც სისტემის მუშაობაზე (თუ შეფასება ხდება აუდიო-ვიდეო სისტემის საშუალებით), ასევე, მეცადინეობის ხარისხზე და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ინფორმაცია. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შემთხვევაში ოქმში იწერება დასკვნა დადგენილ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის შესახებ.

13. კომისიის წევრს უფლება აქვს როგორც შეჯერებულ კითხვარში, ასევე, ოქმში დააფიქსიროს საკუთარი განსხვავებული აზრი (შესაძლებელია დანართის სახით), რაც მითითებული უნდა იყოს ხელმოწერასთან ერთად.

14. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის 3/4.

15. შემოწმების შედეგების, აგრეთვე, საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის შესახებ კომისია გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრე წევრების ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სხდომას ატარებს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული წევრი.

16. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია შედეგები აცნობოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სხდომის ჩატარებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარმოდგენილი უნდა იყოს სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრის, მათ შორის, მოწვეული პირის (არსებობის შემთხვევაში) მიერ ხელმოწერილი ოქმისა და კომისიის სახელით შევსებული თითოეული მეცადინეობის შეფასების ერთი შეჯერებული კითხვარის ასლები, ხოლო აღნიშნული დოკუმენტებისა და შევსებული კითხვარების დედნები, აგრეთვე, მეცადინეობების ჩანაწერები (CD-ები, არსებობის შემთხვევაში) და სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები ინახება კომისიის თავმჯდომარესთან.

17. კომისიის სხდომის ოქმში აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი წერილობით მიმართავს შესაბამის თანამდებობის პირს.